საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-943

21/11/2018

ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერიაში შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მდინარე ნატანების გასწვრივ ნაპირდამცავი გაბიონის მშენებლობაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერიაში მდინარე ნატანების გასწვრივ ნაპირდამცავი გაბიონის მშენებლობის პროექტის სკრინინგის განცხადება.

საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერიაში ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთის სიახლოვეს. ს/კ 26.05.36.140 საკადასტრო მონაცემებით გადამოწმებისას საპროექტო ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტი დაშორებულია 130 მეტრით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებულია ურეკის წყალმომარაგების სისტემისთვის მოწყობილი შვიდი ჭაბურღილი, რომლითაც მოხდება დაბა ურეკის მომარაგება სასმელი წყლით. აღნიშნული ჭაბურღილების წყალდიდობისგან და მდინარე ნატანების სანაპიროს ეროზიისგან დაცვის მიზნით დაგეგმილია 840 მ სიგრძის სტრუქტურის აშენება, რომელიც დაფარავს ჭის საბადოს მთლიან ფართობს. გაბიონის ქედის სიმაღლე გათვლილი იქნება საპროექტო ტერიტორიის დატბორვის 100 წლიან მონაცემებზე დაყრდნობით (მთლიანი მოდინება 840 მ3/წმ). ფრონტალურ მხარეს (მდინარის მხარე) გაბიონის კედლები იქნება საფეხურებიანი, სიგანით 0,5 მ. უკანა მხარეს (გრუნტის მხარე) ექნება მიწის შიდა დახრილობა 6 გრადუსით.

აღნიშნული დამცავი სტრუქტურისთვის გამოყენებული იქნება ნაქსოვი ბადის გაბიონები, რომელიც იწარმოება ექვსკუთხა ღიობის მქონე ბადიდან და მზადდება გალვანიზებული მავთულის წყვილების დაგრეხით. ბადის მავთულის დიამეტრი იქნება 2,7 მმ (3,4 მმ კიდეებში). გაბიონის კალათის შემავსებელი მასალა მომზადდება რეგულარული ფორმის ქვებისგან ნომინალური დახარისხების ზომით 15-20 სმ ინტერვალში, მასალის გონივრული დახარისხებით ორივე ლიმიტში. კალათების ზომა იქნება შემდეგი: სიგრძე: 2.00 მ, 3.00 მ, 4.00 მ, 5.00 მ. სიგანე: 1,00, 1.50 მ. სიმაღლე: 0.50 მ, 1.00 მ. ინერტული მასალის მიღება მოხდება მდინარის ხეობაში მოქმედი კარიერებისაგან, ასევე გამოყენებული იქნება ნაპირის გასწორების ექსკავაციისას ამოღებული მასა გაბიონის საყრდენი საფუძვლისა და კედლის პროფილის შესაბამისად.

ნაპირდამცავი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ობიექტის სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფა განხორციელდება კომპანიის დაბა ურეკის ლოკაციაზე არსებული ტერიტორიიდან (ს/კ 26.35.04.076), რომელიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 10 კმ დაშორებით. სამუშაოების ვადა განსაზღვრულია დაახლოებით 225 დღით.

პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას ტერიტორიამდე მისასვლელი გრუნტის გზის დამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის გამო.

სკრინინგის განცხადების მიხედვით სამშენებლო სამუშაოების პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, რასაც უზრუნველყოფს მანქანა/დანადგარების ტექნიკური გამართულობა. ასევე, წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გატარებული იქნება შესაბამისი უსაფრთხოების ზომები (პოტენციურად დამაბინძურებელი მასალების განთავსება ზედაპირული წყლის ობიექტიდან არანაკლებ 50მ დაშორებით, მდინარის კალაპოტის სიახლოვეს მანქანების რეცხვის აკრძალვა, მასალების და ნარჩენების სწორი მენეჯმენტი და ა.შ).

პროექტის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური, რაც განსაზღვრული იქნება სამუშაო დღის პერიოდით. სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერზე ზეგავლენა ექნება გამოყენებული ტექნიკის ძრავების მუშაობით გამოწვეულ გამონაბოლქვს.

სამშენებლო სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა უმნიშვნელო იქნება და მათი მართვა (წარმოქმნის შემთხვევაში) განხორციელდება სამშენებლო კომპანიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ინერტული მასალა, გამოყენებული იქნება გაბიონსა და არსებული გრუნტის კედლის შორის სივრცის შესავსებად.

სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო ტერიტორიიდან მანძილი შავი ზღვის სანაპირო ზოლამდე შეადგენს 14 კმ-ს, თუმცა საკადასტრო მონაცემებით გადამოწმებისას სანაპირო ზოლი აღმოჩნდა 11 კმ-ის დაშორებით. ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, ქობულეთის ნაკრძალი მდებარეობს 11 კმ-ში. კოლხეთის ეროვნული პარკი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 18 კმ-ით. ჩასატარებელი სამუშაოების მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი არ არის.

ფაუნაზე უმნიშვნელო ზემოქმედება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მშენებლობის ეტაპთან. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მრავალწლიანი ნარგავები, ფლორაზე რაიმე სახის ზემოქმედება არ არის გათვალისწინებული.

სამუშაოს სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ასევე არ ფიქსირდება საპროექტო ზონიდან 10 კილომეტრის რადიუსში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

მდინარე ნატანების გასწვრივ ნაპირდამცავი გაბიონის მშენებლობას, ადგილმდებარეობის, სპეციფიკისა და სამუშაოების განხორციელების ვადის გათვალისწინებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერიაში მდ. ნატანების გასწვრივ ნაპირდამცავი სტრუქტურის (გაბიონის) მშენებლობა **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი